PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №3*

# სსიპ -კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
|---|
| თავმჯდომარე: **ციური დურული** |
| წევრი: **ალექსანდრე კეკენაძე** |

*თბილისი, 2020*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ივნისის N 450018 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 22-23 ივნისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით ამ პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საგანმანათლებლო პროგრამა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაცია, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდი, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები, განახორციელა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, შედგა ვიზიტი პრაქტიკის ერთერთ ობიექტზე -შპს „ევროპის უნივერსიტეტში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

PDF Eraser Free

დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინკლუზიური განათლების გზამკვლევი და ინკლუზიური მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დაწვრილებითი ანგარიშები 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით.

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია პროგრამების კატალოგში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესის უფრო კონკრეტულად ასახვის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზი არ გამოკვეთილა

## VII. გაუმჯობესების რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცების აქტი/ბრძანება N42; 11.05.2018<br>ცვლილების აქტი/ბრძანება N09; 06.032019<br>ცვლილების აქტი/ბრძანება N78; 19.09.2019<br>ცვლილების აქტი/ბრძანება N72; 29.05.2020 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | თბილისი, ილია ვეკუას ქ.N44 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად | 20 (ოცი), თბილისი, ილია ვეკუას ქ.N44, მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა | 20 |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 (ორმოცი), თბილისი, ილია ვეკუას ქ.N44, მოდულური |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტის შეფასება

PDF Eraser Free

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი კოლეჯი ‘‘გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი‘‘ დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე. საზოგადოებრივი კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის, ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. ცენტრის მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამების მორგება თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გათვალისწინება. სასწავლო და სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება და გააქტიურება, დაინტერესებული პირების, სახელმწიფო და კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების კოლეჯის მართვის და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მიზნით. მიზნების მისაღწევად, კოლეჯი: უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით; ზრუნავს თავისი პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ განვითარებაზე; ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას; ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას; ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად; ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას; თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას; ახორციელებს ტრენინგ-კურსებსა და მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა; ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით როგორც საგნობრივი, ასევე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. კერძოდ, 2012-2020 წლებში კოლეჯი ამ მიმართულებით 3 პროგრამას ახორციელებდა მათგან ერთერთია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ამ ეტაპზეც ხორციელდება.

შესაბამისად, ცენტრის გადაწყვეტილება, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შესახებ, შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და ეფუძნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, რაც მდგომარეობს შემდეგში:

„კომპიუტერული ქსელისა და სისტემების" (მე-4 დონე) სპეციალობა არის აქტუალური და მოთხოვნადი შრომის ბაზარზე. კოლეჯმა ამ პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა 2018 წლის 6 სექტემბერს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N134) და დღემდე წარმატებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს მცირე, საშუალო თუ დიდი ბიზნესის ობიექტები, არის უამრავი ორგანიზაცია, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და კონკურენციაც მზარდია, ამიტომაც ბუნებრივია, რომ არსებობს ინფორმაციის ტექნოლოგიების მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების პრობლემა. დღესდღეობით, როცა ინტერნეტმა მოიცვა მთელი მსოფლიო, ადამიანთა უმეტესობა ინტერნეტით ახორციელებს ინფორმაციის მოძიებას, კომუნიკაციას, ყიდვა-გაყიდვას, საქმიან ურთიერთობებს, ინტერნეტ ბიზნესს და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ადამიანს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

ზემოაღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულთა ზეპირმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ისინი დასაქმებულები არიან პროფესიით და შრომის ბაზარზე ძალიან დიდია მოთხოვნა აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე კადრებზე.

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და მასწავლებლებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით, არსებობს თანამედროვე სალექციო აუდიტორიები, მუდმივად ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა ნებისმიერმა დაინტერესებულმა სტუდენტმა ხარისხიანი სწავლება გაიაროს.“

აღსანიშნავია, რომ ცენტრმა წარმოადგინა პროგრამაზე ჩარიცხული, კურსდამთავრებული და დასაქმებული პროფესიული სტუდენტების სტატისტიკური ინფორმაცია 2013 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, ასევე გამოკითხვები და მათი შედეგები, რაც მიესადაგება მათ მიერ მოწოდებულ დასაბუთებას.

2. პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული ტესტირების ჩაბარების/დაწესებულების მიერ ჩატარებეული კონკურსის/შერჩევის საფუძველზე უფლება აქვს მიიღოს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია კოლეჯის დირექტორის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებასთან, პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; **თუმცა, დასკვნის პროექტში, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა მეტი კონკრეტიკით ყოფილიყო გაწერილი.**

**დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა ბრძანება, რომლის მიხედვითაც დგინდება კოლეჯის მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება, კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაციის („2.1.1. კომპონენტი. მე-2 პუნქტი“) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისმინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის No152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ გათვალისწინებით, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (ბრძ.N101, 15.07.2020წ.).**

3. ცენტრი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომლის საფუძველზეც მოხდა კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობის დასაბუთება და რომლის მიხედვითაც ცენტრის მატერიალური, საგანმანათლებლო, ადამიანური რესურსი უზრუნევლყოფს 40 პროფესიული სტუდენტის მომზადებას. კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისად.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
- IT პროგრამებში B სასწავლო გარემო წარმოადგენს C გარემოს;
- კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა კვოტა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო; ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა; გ) საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განხორციელების ობიექტებისა და სასწავლო საწარმოს რესურსი; დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.
- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ზოგიერთი მოდულის განხორციელებისათვის, როგორიც არის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ და „ინფორმაციული წიგნიერება 2“ საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.
- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.
- შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.
- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო დუალური პროგრამის შემთხვევაში ხელშეკრულებით წინასწარ უნდა იქნას განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა სწავლების მზაობა.
- 9 თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (9-10 თვის ჩათვლით) კვოტა განისაზღვრება 2 (2 საშემოდგომო, 1 საშემოდგომო და 1 საგაზაფხულო ან 2 საგაზაფხულო მიღების) ჯგუფით, (არაუმეტეს 20) პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 10 თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტა განისაზღვრება 2 (2 საშემოდგომო, 1 საშემოდგომო და 1 საგაზაფხულო ან 2 საგაზაფხულო მიღების) ჯგუფით (არაუმეტეს 20) პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. განმეორებითი მიღება (საშემოდგომო/საგაზაფხულო) შესაძლებელი იქნება მხოლოდ ყველა პროფესიული მოდულის ან/საერთო პროფესიული მოდულის ამოწურვის შემდგომ, რომელთა განსახორციელებლადაც საჭიროა C გარემო.
- ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის პროგრამით გაწერილი საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს 40 პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიების მიერ ამ პროგრამისთვის განსაზღვრული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, ასევე საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსი საკმარისია 40 პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

5. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს და მხოლოდ ზოგადი და დარგობრივი, პროფესიული მოდულებისაგან შედგება.

6. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით" (მუხლი 4, პუნქტი 7) განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პირი - საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი. კომიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით (N 42, 11.05. 2018 წ.), ხოლო მიმდინარე წელს, ბოლო ცვლილება პროგრამაში შეტანილია, ასევე, დირექტორის ბრძანებით (N72-29.05.2020).

7. პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ) კონცენტრაციის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** დასახელებას, შესაბამისად, შეესაბამება პროგრამის მიზანს, შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, რომლის დაცვითაც შეიმუშავებს და ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ან/და საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი მოიპოვებენ და ამუშავებენ შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ბ) სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით;

გ) შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი;
3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
4. ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობის შესახებ კომისიის სხდომის ოქმი N8 (19 მაისი, 2020);
5. დირექტორის ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია.
7. . სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ განათლების ხარიხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით  (MES 9 20 0000604877; 15/07/2020) და თანდართული დანართით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. კერძოდ, კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი ტექნიკით, არსებობს თანამედროვე სალექციო აუდიტორიები, მუდმივად ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები.

საზოგადოებრივი კოლეჯის მატერიალური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო მატერიალურ რესრუსთან, გადამოწმდა და რეალურად განთავსებულია მის ბაზაზე. ეს დადასტურდა შესყიდვის აქტებით, ინტერვიუებით, ვიზუალური დათვალიერებით.
დაწესებულების პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს AB ტიპის აუდიტორია, რომელიც ამ პროგრამისთვის C გარემოსაც წარმოადგენს. აუდიტორიაში განთავსებულია პროექტორი, 27 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, ასევე - მასწავლებლის კომპიუტერი, მაგიდა და სკამი.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის დამატების შემდეგ აუდიტორიას, რომელშიც განთავსებული იყო 20 სტუდენტზე გათვაისწინებული ინვენტარი და კომპიუტერი, დაემატა 7 სტუდენტზე გათვლილი ინვენტარი და კომპიუტერი.

კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი სასწავლო პროგრამები.

უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „აიტიკრაფტთან“ (10 პროფესიული სტუდენტი), შპს „ევროპის უნივერსიტეტთან“ (20 პროფესიული სტუდენტი), შპს „სოფთმასტერთან“ (5 პროფესიული სტუდენტი), შპს „POS.GE”-სთან (5 პროფესიული სტუდენტი), შპს „ ინტეგრითთან“ (4 პროფესიული სტუდენტი). აღსანიშნავია, რომ 3 ორგანიზაციასთან ხელშეკრულებები მათ დადებული აქვთ პროგრამის ავტორიზაციით დამატების შემდგომ პერიოდში.

ვინაიდან, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ორ ცვლაში განახორციელოს სასწავლო პროცესი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მფლობელობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

2. პროგრამა შედგება 16 დარგობრივ-პროფესიული მოდულისგან, რომელსაც ანხორციელებდა 3 პედაგოგი შემდეგი განაწილებით: დარგობრივი ინგლისურის განმახორციელებელი ერთი მასწავლებელი და ორ მასწავლებელზე განაწილებული 15 მოდული. დაწესებულებამ პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, დარგობრივი მოდულების მასწავლებელთა რიცხვი, რომელიც მანამდე სამს შეადგენდა, ერთით გაზარდა. აღნიშნულ მასწავლებელს, ზოგად-ინფორმაციული წიგნიერების მოდულთან ერთად დაემატა 3 პროფესიული მოდული და დღეისათვის, უკვე, 4 პროფესიულ მასწავლებელს მიყავს პროგრამის დარგობრივი პროფესიული მოდულები. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
   - მასწავლებლის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მფლობელი პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.
   - პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია).
   - სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელდა გასაუბრება, რომელთა საფუძველზეც დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამის პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

4. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესს (მუხლი $3^{1}$), რომლის მიხედვითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დარგის სპეციალისტს ან/და კომპეტენციის მქონე პირს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად პირი ინიშნება 1 (ერთი) წლის ვადით, როტაციის პრინციპის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შესაძლოა დანიშნულ იქნას ზედიზედ ორჯერ, წარმატებით განხორციელებული საქმიანობის გამო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს ექვსთვიანი შუალედური და წლიური საბოლოო ანგარიშები. ექვსთვიანი შუალედური ანგარიშის წარმოუდგენლობა ან შესაბამისი პროგრამის ვერიფიცირების უარყოფითი შედეგები შესაძლოა გახდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

„კომპიუტერული ქსელის და სიტემების“ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, ასევე განხორციელდა მასთან გასაუბრება, რომელთა საფუძველზეც დადგინდა, რომ მას აქვს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროგრამის პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მისი აკადემიური ხარისხით, კვალიფიკაციისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, განთავსებულია კოლეჯის მიერ ელექტრონული სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში, ასევე მათი ნაწილი - მატერიალური სახითაც, ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დადასტურდა ბიბლიოთეკის დათვალიერებით და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;

6. საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რამდენ მოდულშიც/სწავლის შედეგთან მიმართებაშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს მობილობის წესით გადმოსული, პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანილი პროფესიული სტუდენტებისათვის თავსებადი სწავლის შედეგების აღიარებასა და მიღწევის შესაძლებლობებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც:

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან;
- პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით;

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გამოცდილება და წარმატებით უზრუნველყოფს სსსმ პირების სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულობას.

დაწესებულებას აქვს ინკლუზიური განათლების გზამკვლევი და ინკლუზიური მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დაწვრილებითი ანგარიშები 2015 წლიდან 2019 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩათვლით, რაც ასევე განთავსებულია მის ვებგვერდზე. <u>**მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ერთერთი საუკეთესო პრაქტიკაა ამ კომპონენტთან მიმართებაში.**</u>

დაწესებულება იყენებს პანდუსებს და ლიფტს, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად,დაწესებულებას.

7. პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი, რომელიც პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიხედვით ერიცხება დაწესებულებას ვაუჩერული დაფინანსების პრინციპით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან და ფინანსურ მენეჯერთან, რომელთაც დაადასტურეს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების" პროფესიული პროგრამის მდგრადობა არა მარტო 40, 20 პროფესიული სტუდენტის პირობებშიც.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით პარტნიორ დაწესებულებებთან;
2. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ;
5. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი;
6. საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული პროგრამით/გადამოწმებით;
7. დაწესებულების ინფრასტრუქტურის დათვალიერებით;
8. პროგრამის ბიუჯეტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

9. ინტერვიუებით კოლეჯის დირექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ფინანსურ მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. და უზრუნველყოფს ხელი შეუწყოს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:

ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;

ბ) რის გამოც, ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, დასწრების ოქმებს მოდულის შიდა შეფასებისათვის).

შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური/დუალური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს.
ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს. განსაზღვრავს, რამდენად თავსებადია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენციები პროფესიულ სტანდარტთან მიმართებაში.

2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“ გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმი, რის მიხედვითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური/დუალური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია.
2. მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის ინსტრუქცია;
3. ინტერვიუებით ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლავს ორი სასწავლო გეგმა, მათგან ერთი- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის და მეორე - ქართული ენის მოდულებით, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ არის 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც). სასწავლო გეგმა იძლევა ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და მასში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. როდესაც მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება ხორციელდება მინიმუმ ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.
2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში" ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის ინსტრუქცია ასახავს კოლეჯის ორიენტირებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და შემხვედრი საჭიროებების გათვალისწინებით მოქნილად რეაგირებაზე; სასწავლო პროცესის მენეჯერისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის/სწავლის შედეგის ფარგლებში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მენეჯერთან, მონიტორინგის სპეციალისტთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. სასწავლო პროცესის მენეჯერი ან სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების შესაბამის/თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი და გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობის საკითხს. შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველი პირის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით (ჩარჩო დოკუმენტით) განსაზღვრული საკვანძო კომპეტენციების შეძენა.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების იმ თანამედროვე მეთოდებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიის/კომპიუტერული ქსელისა და სისტემების დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც აუცილებელია საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირის მომზადებისათვის კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, განსაკუთრებით ეს ეხება სსსმ პირებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს. წესი განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის. დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რამდენ მოდულშიც/სწავლის შედეგთან მიმართებაშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს მობილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წესით გადმოსული, პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანილი პროფესიული სტუდენტებისათვის თავსებადი სწავლის შედეგების აღიარებასა და მიღწევის შესაძლებლობებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც:

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან;
- პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით;

დაწესებულება ზემოაღნიშნულის შესახებ აკეთებს ყოველწლიურ ანგარიშებს და ათავსებს საჯაროდ, ვებგვერდზე.

5. 40 პროფესიული სტუდენტის გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „აიტიკრაფტთან“ (10 პროფესიული სტუდენტი), შპს „ევროპის უნივერსიტეტთან“ (20 პროფესიული სტუდენტი), შპს „სოფთმასტერთან“ (5 პროფესიული სტუდენტი), შპს „POS.GE”-სთან (5 პროფესიული სტუდენტი), შპს „ ინტეგრითთან“ (4 პროფესიული სტუდენტი). აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან 3 ორგანიზაციასთან ხელშეკრულებები მათ დადებული აქვთ პროგრამის ავტორიზაციით დამატების შემდგომ პერიოდში. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან კოლეჯის ხელშეკრულებები შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და ითვალისწინებს სტუდენტთა მოთხოვნილ (40 პროფესიული სტუდენტი) რაოდენობებს. ვიზიტი ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა, შერჩევითობის პრინციპის დაცვით, ვიზიტი განახორციელა შპს „ევროპის უნივერსიტეტთან“, რომელთანაც კოლეჯს ყველაზე მეტ - 20 პროფესიულ სტუდენტზე აქვს დადებული ხელშეკრულება. დათვალიერებული იქნა უშაუალოდ ის გარემო, სადაც პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკულ კომპონენტს და იმუშავებენ პრაქტიკულ პროექტზე, ესენია, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების გარემო, კომპიუტერული ლაბორატორია და ასევე, საკონფერენციო დარბაზი.
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, კოლეჯს შემუშავებული აქვს და იცავს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში სწავლისა და მუშაობის პრინციპებს სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო უზრუნველყოფის ზოგადი ინსტრუქციების, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი აქტების საფუძველზე. აღსანიშნავია,რომ აღნიშნული პროგრამა არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების დაცვას, ასევე პროგრამის ფარგლებში არსებობს უსაფრთხოებისთვის შემდეგი რესურსები: ანტისტატიკური სამაჯური, ანტისტატიკური ხალიჩა დამცავი სათვალეები და ა.შ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით პარტნიორ დაწესებულებებთან;
2. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროფესიული პროგრამის A, B და C გარემოს დათვალიერებით;
4. სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო უზრუნველყოფის ზოგადი ინსტრუქციები;
5. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
6. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
7. ინტერვიუებით კოლეჯის დირექტორთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, მონიტორინგის სპეციალისტთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
8. ინტერვიუებით პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან;

**შეფასება:**

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ პროგრამის მიზნებისთვის იყენებს შეფასების სისტემას, რომლის ძირითადი პრინციპებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირების შესახებ“ დებულების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების განხორციელებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტი გადის სავალდებულო შემოწმებას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. ასევე, მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლის შედეგების დასადასტურებელ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხური/დონე, მოდულის დასახელება, სარეგისტრაციო ნომერი და კრედიტის ოდენობა, პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი და ჯგუფის ნომერი, სწავლის შედეგები, დადასტურების თარიღი, შეფასებისთვის განკუთვნილი დრო, შესრულების კრიტერიუმები, დავალების აღწერა (წერილობითი მოკლე აღწერა) თითოეული სწავლის შედეგისთვის, შეფასების მიმართულება, შეფასების ინსტრუმენტი, მტკიცებულება, სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო (A,B,C), განმეორებითი შეფასების პირობები, შეფასების ინსტრუმენტის ავტორი, შემფასებლისა და პროფესიული სტუდენტის ხელმოწერები. ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (შიდა ვერიფიკატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:

ა) არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბ) არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;

გ) არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის (დამტკ. დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N40, 27.03.2020 წ.) მუხლი 11-ის შესაბამისად, დაწესებულებაში დანერგილია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივიაქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულური პროგრამით/მოდულით. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივადპროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

4. საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმები. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით: P – plan - დაგეგმვა; D – do - განხორციელება; C - check - შემოწმება; A – act - რეაგირება.

კოლეჯის ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით გაწერილი სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ პროცედურა აღწერს სტუდენტთა შეფასების შედეგებით კმაყოფილების კვლევას და გამოკითხვების შედეგების დამუშავების პროცედურას. ასევე, პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენებას მათი შემდგომი განვითარებისათვის, რაც ასახულია შემდეგი სახით: „კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.“ ამ ეტაპზე დადასტურდა, რომ კოლეჯში მიმდინარეობს მონაცემების სტატისტიკური დამუშავება. ანალიზის შედეგად გაკეთებული მიგნებების შესაბამისად, კოლეჯი დასახავს მოქმედების შემდგომ სტრატეგიას.

**ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მითითებული იყო რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა, მათი შემდგომი განვითარებისათვის, გაწეროს უფრო კონკრეტული ფორმულირებით.**

<u>ზემოაღნიშნული რეკომენდაცია „2.4.2. კომპონენტი. მე-4 პუნქტი“-თან დაკავშირებით ვიზიტის შემდგომ კოლეჯის მიერ გათვალისწინებული იქნა შემდეგი სახით:</u>

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2020 წლის 23 აპრილის №44 ბრძანებაში და „დაგეგმვა" და „შემოწმების" განსახორციელებელ სამუშაოთა ნუსხებს დაემატათ შესაბამისი მე-7 პუნქტები (იხ. ბრძ. №99, 08.07.2020წ.);

- „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" 2019-2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორის 2020 წლის 23 აპრილის №45 ბრძანებაში და „მიზანი 1"-ის მე-5 ამოცანის შესასრულებელ მოქმედებას ჩაემატა ჩანაწერი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, შესასრულებელი პერიოდი - 6 თვეში ერთხელ" (იხ. ბრძ. №100, 08.07.2020წ.);
- შემუშავდა და სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის №95 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში" პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მეთოდოლოგია" (იხ. ბრძ. №95, 06.07.2020წ.).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1.პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირების შესახებ დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. ინტერვიუებით ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან, მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
4. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ განათლების ხარიხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით (MES 9 20 0000604877; 15/07/2020) და თანდართული დანართებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ გაზრდილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (2 გვ.)

16.07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: